N გ-22-05/1982
19/08/2022

1982-გ-22-05-2-202208191529

მოქალაქე მირანდა თეთრაძეს

თქვენი 2022 12 აგვისტოს ელექტრონული წერილის (N შ-20-9/2965) პასუხად გაცნობებთ, რომ 2022 წლის 9 აგვისტოს თქვენ გამოგეგზავნათ (გ-22-05-1954) კომისიაში არსებული ინფორმაცია ფიქსირებული 2018-2022 წლებში ინტერნეტის პენეტრაციის შესახებ დეტალიზირებული რეგიონების მიხედვით. დამატებით დამართის სახით გიგზავნით 2017 წლის პენეტრაციებს რეგიონების მიხედვით. ხოლო რაც შეეხება ქალაქების მიხედვით პენეტრაციებს თქვენს მიერ მოთხოვნილ სახით კომისიაში არ არის დაცული. თუმა ქალაქების მიხედვით მთელი რიგი საკმაოდ დეტალიზებული მონაცემები ხელმისაწვდომია კომისიის ანალიტიკურ პორტალზე ელექტრონული ფორმით, საიდანაც შეგიძლიათ დაამუშაოთ მონაცემები თქვენთვის სასურველი სახით. გიგზავნით ფიქსირებული ინტერნეტის შესახებ მონაცემების შესაბამის ლინკს: https://analytics.comcom.ge/

აქვე გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მ) ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია; აქედან გამომდინარე, საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს მხოლოდ ის ინფორმაცია რომელიც კომისიაშია დაცული ან რომლის დამუშავების ვალდებულება კომისიას გააჩნია. ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, თქვენს მიერ მოთხოვნილი სახით მონაცემები კომისიაში არ ინახება და ამ სახით დამუშავების ვალდებულება კომისიას არ გააჩნია, აღნიშნული ინფორმაციის მოცულობიდან გამომდინარე, კომისია მოკლებულია შესაძლებლობას დაამუშავოს მონაცემები თქვენს მიერ გამოთხოვილი სახით.

ქეთევან წამებულის გამზ.
ბოჭორმის ქ. 50/18, თბილისი, 0144

+995 32 292 16 67
+995 32 292 16 25

ვახტანგ აბაშიძე

წევრი
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია